ეკონომიკის მეცნიერების წარმოშობის და განვითარების მოკლე მიმოხილვა

გია კვაშილავა
პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება მეცნიერებაში დღემდე ნაკლებად შესწავლილ და გამოკვლეულ საკითხებს იმის შესახებ, თუ სად, როდის, რატომ და როგორ გაჩნდა და განვითარდა თვლის, სააღრიცხვო-საანგარიშო და მეტროლოგიური სისტემები, წერისა და ბეჭდვის ხელოვნება, ფული და სხვა, შესაბამისი ინსტიტუტები და ორგანიზაციები, ეკონომიკის, პოლიტიკის, მათემატიკისა და სხვა მეცნიერებები. რა პირობები იყო საჭირო ამისთვის?

ნაშრომში წარმოდგენილია ძვ.წ. VIII – ახ.წ. VI სს.-ის ელინური და ლათინური ეკონომიკური წერილობითი ძეგლებიდან და ორიგინალი წიგნებიდან მასალები, რომლებშიც დასტურდება ტერმინები: „ოიკონომოს“, „ოიკონომიკოს“, „ოიკონომიკა“, „ოიკონომიკე“, „ოიკონომია“, „ეკონომიკის მეცნიერება“, „პოლიტიკის მეცნიერება“ და „მათემატიკის მეცნიერება“. ამ წერილობითი ძეგლების მიხედვით, მიმოხილულია მასალები ეკონომიკის, მათემატიკის, ფილოსოფიისა და სხვა მეცნიერებების, წერითი კულტურის, მონეტის მოჭრის, სიმდიდრისა და ფულის დაგროვების ხელოვნების, ინსტიტუტების, ორგანიზაციების, ეკონომიკური ურთიერთობების წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: „ოიკონომოს“, „ოიკონომიკოს“, „ოიკონომიკა“, „ოიკონომიკე“, „ოიკონომია“, „ეკონომიკის მეცნიერება“, „პოლიტიკის მეცნიერება“, „მათემატიკის მეცნიერება“

A BRIEF OVERVIEW OF THE ORIGIN AND DEVELOPMENT OF THE SCIENCE OF ECONOMICS

Gia Kvashilava
Professor, PhD in Economics,
Caucasus International University

ABSTRACT

Where, when, why, how did counting, accounting and metrological systems, the art of writing and printing, money, institutions, organizations, economic, political, mathematical and philosophical sciences appear and develop? What conditions were necessary to achieve the appropriate level?

The paper examines the ancient Hellenic and Latin economic written monuments and original books of the VIII BC – VI AD, in which the terms: “oeconomos”, “oeconomicos”, “oeconomica”, “oeconomice”, “oeconomia”, “science of economics”, “science of politics”, and “science of mathematics” are confirmed. According to these written monuments, materials about the origin and development of economic, mathematical and philosophical sciences, written culture, coinage, the art of wealth and money accumulation, institutions, organizations, and economic relations have been studied.

Keywords: “oeconomos”, “oeconomicos”, “oeconomica”, “oeconomice”, “oeconomia”, “science of economics”, “science of politics”, “science of mathematics”

****

ეკონომიკური აზრის წარმოშობისა და განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის მეცნიერული შესწავლა დიდი ხანია დაწყებულია და ის დღემდე აქტუალური რჩება. ამ საკითხის შესახებ გამოქვეყნდა კვალიფიციური შრომები (ვ. ჩაილდი, ი. ჯავახიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ს. ბერაძე, პ. გუგუშვილი, ვ. ჩანტლაძე, რ. ბრეიდვუდი, გ. კლარკი, დ. ნორთი, რ. თომაზი, ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დ. შმანდტ-ბესერა, რ. კემერონი, ლ. ნილი, გ. თოდუა, ა. სილაგაძე, მ. სიჭინავა, ჯ. ხარიტონაშვილი, მ. ცეცხლაძე, კ. ჰირტი, გ. დაუ, კ. რიდი და სხვები), რომლებიც მიმოხილულია ჩვენს 2024 წლის შრომაში (კვაშილავა 2024, 17-24).

შუა რკინის ხანაში, დაახლოებით ძვ.წ. VIII–VII სს.-ში ელადაში იყო ეკონომიკური კრიზისი და პოლიტიკური დაპირისპირება. მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში, ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, იონიაში, მილეთში დაიწყო საკოლონიზაციო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები, რამაც განავითარა ხელოსნობისა და ხელოვნების ზოგი დარგი, ნაოსნობა და ვაჭრობა, გაზარდა საქონლის ბრუნვა, შექმნა თვლის, სააღრიცხვო-საანგარიშო და მეტროლოგიური სისტემები. თავის მხრივ, საქონლის, შრომადღეების, მომსახურეობების, შემოსავლებისა და ხარჯების ჩაწერა-აღრიცხვამ შეამცირა ეკონომიკური რისკები და უფრო მიმზიდველი გახადა მონაწილეობა წარმოების განვითარებაში, სამეწარმეო ქონების გადაცემაში და სხვა. ამ დროს დაიწყო მონათმფლობელური სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბება. მილეთში დაარსდა ახალშენთა დამფუძნებისა და ორგანიზატორის – „ოიკისტესის“ (ელინური oikistes) ინსტიტუტი. მეზღვაურებმა წინასწარ შეისწავლეს ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპირო საკოლონიზაციო ადგილები. ახალშენებთან კავშირების შედეგად ვითარდებდა ექსპორტი და იმპორტი, რამაც წარმოებისა და ვაჭ-

რობის, განსაკუთრებით, ხელოსნობის გაზრდა გამოიწვია, რასაც საკოლონიზაციო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკონომიკური აზრის განვითარება მოჰყვა.

ძვ. წ. VII ს.-ის ბოლოდან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარებამ, განსაკუთრებით, ელინურ კოლონიებში, კერძოდ, მილეთში, იმდროინდელი მრეწველობის, ვაჭრობისა და საზღვაო მიმოსვლის ცენტრში, შესაბამისად, წერითი კულტურა ააღორძინა, გააფართოვა ცოდნა ბუნებისა და საზოგადოების შესახებ. აქ სახელმოხვეჭილმა ვაჭარმა, პოლიტიკოსმა და სამხედრო ინჟინერმა, „მეცნიერების მამად“ წოდებულმა, თალეს მილეთელმა და მისმა მოწაფეებმა, ანაქსიმანდრემ და ანაქსიმენემ საფუძველი ჩაუყარეს ფილოსოფიას, მათემატიკას, ფიზიკასა და ასტრონომიას. „თალეს მილეთელი ფილოსოფიის გამოყენებით გამოთქვამს ზოგად მოსაზრებებს ამ საკითხის შესახებ. როგორც ამბობენ, მან ასტრონომიაზე დაყრდნობით იწინასწარმეტყველა ჯერ კიდევ ზამთარში მომავალ წელს ზეთისხილის დიდი მოსავალი. მან თავისი ცოტაოდენი ფული მისცა ზეთის გამოსახდელების პატრონებს და იჯარით შეისყიდა მთელი ზეთისხილის სახდელები. როცა მოვიდა დრო ზეთისხილის შეგროვებისა, ყველას დასჭირდა ერთდროულად და სასწრაფოდ ზეთის სახდელები. მან მათ მოსთხოვა იმდენი თანხა გამოსასყიდათ, რამდენიც მოესურვებოდა. ამით მან შეაგროვა დიდი ქონება და დაამტკიცა, რომ ფილოსოფოსებისათვის ადვილია გამდიდრება, თუ კი მოისურვებენ, მაგრამ ისინი ამაზე არა ზრუნავენ“ (არისტოტელე, *პოლიტიკა* I.IV.5; კუკავა 1995, გვ. 27).

ზოგიერთი ძველი ელინური წერილობითი ძეგლის მიხედვით, ძვ. წ. VI ს.-ში „რიცხვთა მამამად“ სახელდებულმა, ვაჭარმა, თავდაპირველად ეგეოსისზღვისპირეთში და შემდგომში კი კროტონაში / კრესტონში (ეტრურიაში, იტალიაში) მცხოვრებმა, პითაგორა სამოსელმა, რომელიც წარმოშობით პელასგი იყო, პირველმა ჩამოაყალიბა ორგანიზაცია „ფილოსოფიური სკოლა“ და შემოიტანა ტერმინი „ფილოსოფია“. ფილოსოფია ზოგადად ეხებოდა ეკონომიკის, მათემატიკის, ფიზიკის, ლოგიკის, ასტრონომიის, ბიოლოგიის, მედიცინის, პოლიტიკური ფილოსოფიის, მეტაფიზიკის, ონტოლოგიის, ეთიკის, რიტორიკისა და ესთეტიკის საკითხებს. ამ საუნჯეს ახლაც არ დაუკარგავს სამეცნიერო ღირებულებები. კვლევების მიხედვით, ნათელია, რომ ნატურფილოსოფია (ბუნების ფილოსოფია) და მეცნიერებები ჩაისახა არა უშუალოდ კონტინენტურ საბერძნეთში, არამედ – მცირე აზიის დასავლეთ მხარის ბერძენთა კოლონიებში.

ეს კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა იყო. კოლონიებში საწერ მასალად იყენებდნენ პაპირუსს, ხის ფირფიტასა და პერგამენტს (ცხოველის ტყავს). ამ საწერ მასალებზე დაიწერა ფილოსოფიურ-ისტორიული თხზულებები, რომლებსაც ეკონომიკური განვითარებისა და სახელმწიფოს წარმოქმნისთვის, სამეცნიერო საკითხების დაყენებისა და ოპტიმალური გადაწყვეტისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

რკინის ხანის დასასრულს, ძვ.წ. VII ს.-ის ბოლოს, ლიდიის სამეფოში, რომელიც მდებარეობდა დასავლეთ მცირე აზიაში, იონიის აღმოსავლეთით, ფართოვდება მიწათმოქმედება, მეტალურგია, ოქროს საბადოების ათვისება, კერამიკული და საიუველირო ნივთების, ფერადი ქსოვილებისა და ტყავის ნაწარმის დამზადება. არქეოლოგიური მასალის მიხედვით ირკვევა, რომ საბეჭდავებზე ამოკვეთილი წერითი ნიშნების, გეომეტრიული ფიგურების, ცხოველის, ფრინველის, ადამიანისა ან ღვთაების გამოსახულებების თიხის ფირფიტებზე დაბჯენა-დაბეჭდვის კულტურამ ჩამოაყალიბა მონეტაზე გარკვეული ნიშნების დაშტამპვის მეთოდი. მონეტების გამოყენებამ ვაჭრობა გაცილებით გაამარტივა, რადგან მათი დათვლა უკვე შესაძლებელი იყო აწონვისა ან გაზომვის გარეშე. ჰეროდოტე (I.94) წერდა: „ადამიანთა შორის ლიდიელები პირველები არიან, ვინც კი ჩვენ ვიცით, რომლებმაც მოსჭრეს და გამოიყენეს ოქროსა და ვერცხლის ფული. ესენი იყვნენ პირველი წვრილვაჭრები“. იგი აგრეთვე ერთ ნაკლებად სარწმუნო ამბავსაც აღნიშნავს, რომ თითქოს სამოსში მოიჭრა მოოქროვილი ტყვიის მონეტები (ჰეროდოტე I.56). ძვ.წ. VII–VI სს.-ში ლიდიის მეფემ, ალიატესმა გააქტიურა და გააძლიერა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები კოტინეტური და კუნძულოვანი საბერძნეთისა და მცირე აზიის ქვეყნებთან. იგი იყო პირველი მონარქი, რომელმაც „ეკონომიკური რევოლუცია“ მოახდინა და შემოიღო ელექტრუმის (ოქროსა და ვერცხლის ბუნებრივი ნაერთის) მონეტა – ლითონის ფული, რომლის მოჭრა დასტურდება ლიდიის დედაქალაქში, სარდისში არქეოლოგიური გათხრების დროს მეტალურგიული სახელოსნოში მონეტების აღმოჩენით. ეს ინოვაცია გავრცელდა ძველ მსოფლიოში. ელადაში შემოიღეს მონეტარული და მეტროლოგიური სისტემები. ძვ.წ. VI–IV სს.-ში მოიჭრა „კოლხური თეთრი“ – ვერცხლის მონეტა. თუმცა არსებობს დამაჯერებელი ვარაუდი კოლხეთში ერთ-ერთი პირველი ოქროს მონეტის მოჭრის შესაძლებლობის შესახებ უფრო ადრეულ (ძვ.წ. XVII–XV სს.) პერიოდში (სიჭინავა 1999, 16, 38–44; 56–64, 70, 91, 113).

ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროების მიხედვით, ძვ.წ. IV–ახ.წ. II სს.-ში რომის, ელადის, კოლხეთისა და ევრაზიის ქვეყნებს შორის ვითარდება სავაჭრო ურთიერთობები. კოლხეთში ამზადებდნენ სელის ქსოვილებს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ფაზისი სავაჭრო ნავსადგური იყო (Strabo XI.2.I7), სადაც ჩამოდიოდა სამოც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომი, მათ შორის, ინდოეთიდან და ბაქტრიიდან. ალბათ, ამ დროს ინდოეთში, კომორინის კონცხის (კანიაკუმარის) ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, „კოლხეთის ყურის“ (ლათ. Sinus Colchicus, ამჟამინდელი მანარის ყურის) პირას დაარსდა ნავსადგური „ინდოეთის კოლხეთი“ (ლათ. Colchi indiae, Colchis Indorum), საიდანაც კოლხებს გაჰქონდათ, მაგ., სპილოს ძვალი, მა-

რგალიტი, ძვირფასი ქვები და სანელებლები (Ptolemy I.12.13; VII.1.10).

ძვ.წ. VI–IV სს.-ში ხმელთაშუაზღვისპირეთში ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკონომიკური აზრის განვითარების შედეგად შეიქმნა წერილობითი ძეგლები, რომლებშიც დასტურდება ეკონომიკური ტერმინები. ესქილემ, ლისიასმა, ქსენოფონტმა, პლატონმა, არისტოტელემ და სხვებმა დაამკვიდრეს ელინური სიტყვა „**ოიკონომოს**“. ეს ფორმა იშლება „ოიკო-ნომ-ოს“ ნაწილებად, სადაც „-ოს“ სუფიქსია (ბოლოსართი). პირველი ნაწილი „ოიკო“ არის სიტყვა „ოიკოს“, რომლის მნიშვნელობაა „სახლი“, „საცხოვრებელი / სამყოფელი ადგილი“. მეორე ნაწილი „ნომ“ ნაწარმოებია სიტყვიდან „ნემო“, „ნომაო“, რომლის მნიშვნელობაა „მართვა“. ამრიგად, „**ოიკონომოს**“ კომპოზიტის (შედგენილი სიტყვის) მნიშვნელობაა „სახლის მმართველი“, „მეურნე“, „საოჯახო/საშინაო მეურნეობის მმართველი, განმკარგველი“.

ქსენოფონტმა დაწერა თხზულება, სათაურით „**ოიკონომიკოს**“, რომელშიც რჩევა-დარიგებებს იძლევა მონათმფლობელური მეურნეობის განსავითარებლად. ეს სიტყვა, რომელიც დანაწევრდება „ოიკო-ნომ-იკოს“ სახით, სადაც „-იკოს“ სუფიქსია, აღნიშნავს „მამასახლისს“, „სახლის მმართველს“, „საოჯახო/საშინაო მეურნეობის მმართველს“. არისტოტელემ შეადგინა წიგნი „**ოიკონომიკა**“ . ეს ფორმა იშლება „ოიკო-ნომ-იკა“ სახით, სადაც „-იკა“ სუფიქსია, და აღნიშნავს „საოჯახო / საშინაო მეურნეობის მართვას“. ქსენოფონტმა და არისტოტელემ გამოიყენეს ელინური სიტყვა „**ოიკონომიკე**“, რომლის მნიშვნელობაა „სახლის მართვის ხელოვნება“, „საოჯახო / საშინაო მეურნეობის მართვის ხელოვნება“, ან „საოჯახო მეურნეობის უნარიანად გაძღოლა“, „მეოჯახეობა“. „**ოიკონომოს**“ ფორმიდან ქსენოფონტმა და პლატონმა აწარმოეს სიტყვა „**ოიკონომია**“, სადაც „-ია“ სუფიქსია. ასე რომ, „**ოიკონომია**“ კომპოზიტის მნიშვნელობაა „საოჯახო / საშინაო მეურნეობის გამგებლობა, მართვა“, „საოჯახო საქმეები“.

არისტოტელემ დაამკვიდრა ტერმინები „ეკონომიკის მეცნიერება“, „პოლიტიკის მეცნიერება“ და „მათემატიკის მეცნიერება“ (Aristotle, *Oeconomica* I.1, 1343a; *Politics* I.V.1.1259a; *Metaphysics* VI.I.8-12, 1026a), ხოლო პლატონმა – სიტყვა „მათემატიკოსი“, რომელიც ბერძნულად „სწავლის მოყვარულს“ აღნიშნავს (Plato, *Sophist* 219c).

ცნობილია, რომ „**ოიკონომია**“ სიტყვიდან მიღებულია ინგლისური ფორმა “**oeconomy**”, ანუ “**economy**” – „ეკონომია“, რომელიც აღნიშნავს „შინასამეურნეო საქმეების მართვის ხელოვნებას, ან მეცნიერებას“. რა თქმა უნდა, ეს ტერმინი მაშინ არ გადმოსცემდა იმას, რასაც ახლანდელ დროში ჩვენ ვგულისხმობთ ეკონომიკის მეცნიერებაში (ინგლ. economics), რომელიც სწავლობს საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობას, იმ ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც ყალიბდება მატერიალური დოვლათის მითვისების, ანუ წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

ძვ.წ. VIII–VII სს.-ში ჰესიოდე, რომელიც ცნობილია როგორც „პირველი ეკონომისტი“, პოემაში „სამუშაონი და დღენი“ ამბობდა: „შრომის შედეგად ადამიანები მდიდრდებიან...“ ძვ.წ. VII–VI სს.-ში სოლონი ლექსში წერდა: „ადამიანებს არ აქვთ სიმდიდრის [მოხვეჭის] მკაფიო საზღვრები“ (ფრაგმენტი 13.71).

ამ სწავლულების შეხედულებები საინტერესოდაა გადმოცემული პლუტარქის თხზულების, „რჩეული პარალელური ბიოგრაფიების“ ქვეთავში („სოლონი“ 2.2–4), რომელშიც პლუტარქემ ვრცელი განმარტება დაწერა:

„სიმდიდრეს სოლონი თაყვანს სრულებითაც არ სცემდა; აი, რას ამბობს ამის თაობაზე იგი:

«ყოველი კაცი მდიდარი არს, ვინც პატრონია
ოქრო-ვერცხლისა თუ მრავალი მიწა-წყლისა,
ვისაც უხვად ჰყავს რემა ცხენთა და რემა ჯორთა;
ვინც ფერდძლიერი და ფეხმარდი არის, – ისიცა,
ისიც – ვისაც ჰყავს თავის დროზე ცოლი და შვილი,
რაკიღა ძალუძს სიჭაბუკის ასაკით დატკბეს».

სხვაგან დასძენს:

«სიმდიდრე მინდა, უსამართლო არ იყოს ოღონდ,
რამეთუ დაგვსჯის სამართლი განკითხვის
დღეს».

უნდა ითქვას, კეთილშობილსა და სახელმწიფოსათვის თავდადებულ კაცს არაფერი უშლის ხელს, თუ ჭარბი ქონება არა, აუცილებელი მაინც შეიძინოს. ამას გარდა, იმ ხანებში, ჰესიოდეს [„სამუშაონი და დღენი“, სტრიქონი 311] სიტყვებით რომ ვთქვათ: «არც ერთი სახის შრომა არ არის სამარცხვინო», ყოველი ხელობა საპატიო საქმედ ითვლებოდა და ვაჭრობასაც დიდი სახელი ჰქონდა. ვაჭრობის წყალობით ბარბაროსთა მოთვინიერება, უცხო ქვეყნების მეფეთა გულის მოგება და დიდი გამოცდილების მიღება შეიძლებოდა. ზოგიერთი ვაჭარი ქალაქის დამაარსებელიც კი გახდა. ასე მაგ., მასალია [მარსელი] დაარსა პროტისმა, რომელმაც ამით დიდი სიყვარული დაიმსახურა როდანოსის [რონას] სანაპიროებზე მცხოვრებ კელტთა შორის. ამბობენ, თალესიცა და მათემატიკოსი ჰიპოკრატეც [ქიოსელი] კი ეწეოდნენ ვაჭრობასო. პლატონმა, სხვათა შორის, უცხო ქვეყნებში მოგზაურობის ხარჯის დასაფარავად ეგვიპტეში ზეთი გაყიდა თურმე“ (ურუშაძე 1975, 138, 139).

არისტოტელე თხზულებაში „პოლიტიკა“ (I.II.1253b, III.1256a–1258b, IV.1259a) დაწვრილებით მსჯელობდა ეკონომიკის შესახებ და ამბობდა „ყველა სახელმწიფო ოჯახებისაგან შედგება, ხოლო ეკონომია კი შედგება იმავე ნაწილებისაგან, რისგანაც ოჯახი“ (კუკავა 1995, 13).

არისტოტელე (I.II.1253b, I.III.1256a) თავდაპირველად იკვლევს ოჯახსა და ე.წ. ქონების დაგროვების ხელოვნებას:

„ქონება ოჯახის ნაწილია, ხოლო ქონების მოპოვების ცოდნა არის ეკონომიკის მეცნიერების ნაწილი. თუ სურთ საქმის ბოლომდე მიყვანა, ყოველ ხელო-

ბაში აუცილებელია ამისათვის საჭირო იარაღების ქონება. აუცილებელი საარსებო საშუალებების გარეშე კი შეუძლებელია როგორც ცხოვრება, ისე კარგად ცხოვრება... ცხადია, რომ ეკონომიკა (იგივე ოჯახის გაძღოლა) არაა იგივე, რაც ქონების მოპოვების ხელოვნება, რადგან ერთი მათგანი ეხება ქონების დაგროვებას, მეორე – გამოყენებას. მაგრამ რომელი მეცნიერების საქმე იქნება სახლისათვის საჭირო მოთხოვნილებების საგნების გამოყენება, თუ არა ეკონომიკისა? სადავოა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ ქონების მოპოვების ხელოვნება არის ეკონომიკის რაიმე ნაწილი, თუ ის სულ სხვა სახისაა? მაგრამ თუ საჭიროა ქონების მოპოვების მეცნიერების განხილვა, უნდა გაირკვეს, თუ რა არის ქონება და რა არის ქონების მოპოვება... ქონებას და სიმდიდრის ცნებას კი მრავალი ნაწილი აქვს. პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს, რომ მიწათმოქმედება არის ეკონომიკის ნაწილი, თუ ის ცოდნის რაღაც სხვა სახეა? და საერთოდ, გასარკვევია საკითხი საკვების მოპოვებისა და დაგროვების შესახებ“ (კუკავა 1995, 14, 20).

არისტოტელე (I.III.1256b) აღნიშნავდა: „ქონების დაგროვების ერთი სახე არსებითად არის ეკონომიკის ნაწილი. იგი არსებობს ან თავისთავად, ან უნდა მოპოვებული იქნას იმათ მიერ, რომლებსაც სჭირდებათ ქონება ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ანდა საზოგადოებრივი და ოჯახური ურთიერთობებისათვის. როგორც ჩანს, ნამდვილი სიმდიდრე ყოველივე ამას მოიცავს. ქონება, რომელიც საჭიროა კარგი ცხოვრებისათვის, არაა განუსაზღვრელი და როგორც სოლონიც ამბობს, ლექსში: «ადამიანებს არ აქვთ სიმდიდრის [მოხვეჭის] მკაფიო საზღვრები». მაგრამ ეს საზღვარი არსებობს აქ ისევე, როგორც სხვა ხელოვნებებში. არც ერთი ხელოვნების იარაღი არაა განუსაზღვრელი არც სიდიდით და არც სიმრავლით, სიმდიდრე კი არის ეკონომისტებისა და პოლიტიკური მოღვაწეებისთვის იარაღთა სიმრავლე. ამრიგად, ცხადია, რომ ქონების მოპოვების ხელოვნება ბუნებრივად არსებობს ეკონომისტებისა და პოლიტიკოსებისათვის და ცხადია ისიც, თუ რა მიზეზით არსებობს ის“ (კუკავა 1995, 21, 22).

სოფლის მეურნეობის მართვის, კერძოდ, მევენახეობა-მეღვინეობის თუ მეცხოველობის განვითარების შესახებ რომაელმა ავტორებმა, მარკუს პორციუს კატონ უფროსმა, მარკუს ტერენციუს ვარონმა, ლუციუს იუნიუს კოლუმელამ და გაიუს პლინიუს სეკუნდუსმა დაწერეს ნაშრომები, შესაბამისი სათაურებით (ლათ. «De agri cultura» – „აგრიკულტურის შესახებ“ – გამოქვეყნდა დაახლოებით ძვ.წ. 196 წ.-ს; ლათ. «Rerum rusticarum libri III» – „სოფლის მეურნეობის შესახებ სამი წიგნი“ – გამოიცა დაახლოებით ძვ.წ. 37 წ.-ს; ლათ. «De re rustica» – „სოფლის მეურნეობის შესახებ“, რომელიც გამოვიდა 12 ტომად დაახლოებით ახ.წ. 60 წ.-ს; ლათ. «Naturalis historia» – „ბუნების ისტორია“ ახ.წ. 68–79 წწ.-ს გამოიცა 37 წიგნად, რომლის XII–XXVIII ტომებში წარმოდგენილია აგრიკულტურა).

ზემოთ წარმოდგენილი ელინური და ლათინური ეკონომიკური წერილობითი ძეგლები ფრიად მნიშვნელოვანი წყაროებია, რომლებსაც, როგორც ისტორიულ მასალებს, ეკონომიკური, პოლიტიკური და იურიდიული მოსაზრებებისა თუ ეკონომიკური თეორიების ჩამოსაყალიბებლად, შესაბამისად, იყენებდნენ იტალიელი ბერი გრაციანუსი, წმინდა თომა აკვინელი, ნ. კოპერნიკი, ტ. დე მერკადო, ა. დე მონკრეტიენი, უ. პეტი, ფ. კენე, ა. სმითი, თ. მალთუსი, ჯ. ს. მილი, კ. მარქსი, კ. მენგერი, ა. მარშალი, გ. შმოლერი, მ. ვებერი, ლ. რობინსი, ფ. ჰაიეკი და სხვები. ამ მასალის მიხედვით, ირკვევა, რომ ძველი საბერძნეთის, რომისა და შემდგომი ხანის ევროპის მოქალაქე იყო სკრიპტორი („დამწერი“), პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციოლოგიური ადამიანი (ლათ. Homo scriptor, Homo politicus, homo oeconomicus, homo legalicus, et homo sociologicus).

დასკვნა

ეგეოსისზღვისპირეთის გარკვეულ რეგიონებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების გამოკვლევის შედეგად ვასკვნით, რომ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებამ, ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფა-დახვეწამ და საქონლის დათვლა-აღრიცხვის საჭიროებამ ხელი შეუწყო თიხაზე თუ ლითონზე ბეჭდვის ხელოვნების, მონეტის მოჭრის კულტურის, თვლის, სააღრიცხვო-საანგარიშო, მეტროლოგიური და წერითი სისტემების ჩამოყალიბებას. ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში თვლის, სააღრიცხვო-საანგარიშო, მეტროლოგიური და წერითი სისტემების ტექნიკურმა განვითარებამ ბიძგი მისცა წერილობითი ძეგლების შექმნას, ეკონომიკის, პოლიტიკის, მათემატიკის, ფილოსოფიისა და სხვა მეცნიერებების, შესაბამისი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების წარმოშობას. ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ განაპირობა ეკონომიკის შემდგომი პროგრესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვაშილავა გ. 2024, *ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების როლი მათემატიკისა და დამწერლობის ჩამოყალიბებაში* (სადისერტაციო ნაშრომი ეკონომიკის დოქტორის აკად. ხარისხი), სტუ, თბილისი.

2. კუკავა თ. 1995, *არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწილი I*, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტება დაურთო თ. კუკავამ, თბილისი.

3. სიჭინავა მ. 1999, *საქართველო და ანტიკური მითოსი: სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების საფეხურები* (დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნ. ხარისხი). თბილისი.

4. ურუშაძე ა. 1975, *პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები,* ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო ა. ურუშაძემ, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი.